

გარემოს გეოეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების ზოგიერთი მეთოდოლოგიური ასპექტი

თინათინ ნანობაშვილი

ელ.ფოსტა: tinatin.nanobashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, თბილისი 0179, საქართველო.

ცნება „გარემო“ ყოველთვის ანარეკლია ანთროპოცენტრულ ან ბიოცენტრულ სუბიექტურ-ობიექტური ურთიერთობის. ამის გამო, გარემოს განსაზღვრის დროს, ყოველთვის აუცილებელია მივუთითოთ, თუ რომელ სუბიექტთან ერთად განიხილება იგი. აღნიშნული ახლო კავშირშია „გეოგრაფიული გარემოს“, „ბუნებრივი გარემოს“ და „ადამიანის გარემომცველ გარემოს“ ცნებებთან. „გარემო“ - ერთ-ერთი ფუნდამენტური გაგებაა თეორიისა და პრაქტიკის, ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის, ეკოლოგიური მიდგომის. ხოლო რაც შეეხება ტერმინს „გეოეკოლოგია“ კლასიკური გაგებით, ეს არის მეცნიერების დარგი, ბუნებრივი გარემოს ანთროპოგენური ცვლილების შესახებ, მაგრამ ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩვენ მხოლოდ ანთროპოგენურ ტრანსფორმაციას არ განვიხილავთ. გარემოს გეოეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების უნიფიცირებული მიდგომა მეცნიერებაში არ არსებობს. არ არის შექმნილი არც შეფასების კრიტერიუმები და არც რანჟირების განსაზღვრული სისტემა. ამდენად, პრობლემებისადმი მიდგომა სუბიექტურია. ჩვენი მიდგომით, გარემოს გეოეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებისას პირველ რიგში ვადგენთ გეოდინამიკური პროცესებით გარემოს დაზიანებადობის ხარისხს, რომელიც თავის მხრივ ატმოსფეროში ფორმირებული საშიში მეტეოროლოგიური მოვლენებით და დედამიწის ზედაპირსა და მის ქერქში წარმოქმნილი სტიქიური პროცესებით წარმოგვიდგება. ამ ორი ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული მოვლენის ფორმირების პირობების მიუხედავად, მათ შორის კავშირი სინერგეტიკულია და გეოდინამიკური პროცესების წარმოქმნა-რეაქტივაციას განსაზღვრავს. თანამედროვე გეოდინამიკური სტიქიური პროცესების განვითარება-რეაქტივაციის კანონზომიერების ანალიზი შეუძლებელია სწორად იქნას გაგებული და შეფასებული იმ მთავარი პროცესმაპროვოცირებელი ფაქტორების გარეშე, რომლებიც ზემოქმედებენ მათ წარმოქმნასა და გააქტიურებაზე. ამ პრობლემის თანამედროვე დონეზე გამოკვლევა შეიძლება რეალიზდეს მხოლოდ გეოგრაფიული გარემოს სისტემაში შემავალი ელემენტების (კომპონენტების) სათანადო დონეზე შეცნობით, როგორც ერთიანი ფუნქციონალური კატეგორია. სადაც გეოლოგიურ გარემოს დეტერმინანტული, ბაზისური საფუძველი გააჩნია, ხოლო სტოქასტიკურად არასტაციონალურ რეჟიმში მიმდინარე ფაქტორები და აგენტები ხელს უწყობს გეოლოგიურ სისტემაში დამყარებული ჰომეოსტატიზმის დარღვევას, პროცესების პროვოცირების სტიმულირებას და რეაქტივაციას.